



სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა



KA080181518131418

№ 3255

25 / დეკემბერი / 2018
წ.

შპს „ენ.ემ.კომპანის“ შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ

შემსყიდველი ორგანიზაცია: გურჯაანის მუნიციპალიტეტი;

ტენდერის ნომერი: NAT180007981;

შესყიდვის ობიექტი: 45200000 – მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები;

მიმწოდებელი: შპს „ენ.ემ.კომპანია“ (ს/ნ: 402088254);

წერილობითი შეტყობინების საფუძველი: სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულება.

აღწერილობითი ნაწილი

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2018 წლის 9 ნოემბერს წარმოდგენილ იქნა გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერიის 2018 წლის 7 ნოემბრის №7814 წერილობითი შეტყობინება (რეგისტრაციის №9342), რომლითაც სააგენტოს ეცნობა ამხანაგობა „კავთის“ (ს/ნ: 236099930) მიერ NAT180007981 ელექტრონული ტენდერის საშუალებით დადებული 2018 წლის 27 ივლისის № 124 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

სააგენტომ შპს „ენ.ემ.კომპანის“, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მის პროფილში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართის gagoshidze_2015@mail.ru მეშვეობით, 2018 წლის 13 ნოემბრის № 3920 წერილით აცნობა სააგენტოში შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების წარმოდგენის თაობაზე და, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სთხოვა ხსენებულ საქმეზე წერილობითი განმარტების წარმოდგენა. მიმწოდებელს განმარტება არ წარმოუდგენია.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 24 დეკემბრის № 3191 განკარგულებით ამხანაგობა „კავთა“ (ს/ნ: 236099930) NAT180007981 ელექტრონული ტენდერის საშუალებით დადებული 2018 წლის 27 ივლისის № 124 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების გამო დარეგისტრირდა შავ სიაში.

სამოტივაციო ნაწილი

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის 8¹ პუნქტის თანახმად, თუ პრეტენდენტი/მიმწოდებელი ამხანაგობაა, შავ სიასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება მიიღება როგორც ამხანაგობის, ასევე მისი მონაწილეების მიმართ.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 24 დეკემბრის № 3191 განკარგულებით ამხანაგობა „კავთა“ (ს/ნ: 236099930) NAT180007981 ელექტრონული ტენდერის საშუალებით დადებული 2018 წლის 27 ივლისის № 124 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების


არაჯეროვანი შესრულების გამო დარეგისტრირდა შავ სიაში. შესაბამისად, შპს „ენ.ემ.კომპანია“ (ს/ნ: 402088254), როგორც ზემოაღნიშნული ამხანაგობის წევრი, უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის 8¹ პუნქტით და დაადგინა:

1. შპს „ენ.ემ.კომპანია“ (ს/ნ: 402088254) 2018 წლის 26 დეკემბერს დარეგისტრირდეს შავ სიაში.
2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.
3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამბდასმულია
ელექტრონულად 

ლევან რაზმაძე